ლელო

№ 31
(11 999)

28 აპრილი – 1 მაისი, 2006 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან • გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.org.ge/lelo

სტუმრიანობა უენგაურთის ფედერაციაში

შეიტყობინება საფეხბურთო ფედერაციის გენერალური მდივანი **ტარიელ ხოლთანსკის** შესახებ, რომ მან 2006 წლის 28 აპრილიდან დაიწყო ანაზღაურებადი შვებულება.

ბედნიანობა – „ვერცხლი“, კვირკველიას – „ბრინჯაო“...



მოსკოვში გუშინ დაიწყო ევროპის ჩემპიონატი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, რომელშიც საქართველოს ნაკრები სრული შემადგენლობით, მაგრამ ლიდერების **რამაზ ნოზაძის** და **ბადრი ხასაიას** გარეშე მონაწილეობს. გუნდში უმრავლესობა დებიუტანტია.

გუშინვე ხალიჩაზე გამოვიდნენ 60, 74 და 96 კგ წონით კატეგორიის ფალავნები. ჩვენებიდან ორმა, **დავით ბეგიაშვილმა** (60 კგ) და **მანუჩარ კვირკველიამ** (74) შესაბამისად საბოლოოდ ჩემპიონობისთვის და მესამე სპარიზო ადგილისთვის იბრძოლეს. კვირკველიამ პირველმა მოუტანა ჩვენს ნაკრებს მედალი (ბრინჯაოსი), ბედნიანმა კი ფინალი სომეხ კარენ მნაცაკანიანთან დაიმთ და ვერცხლს დასჯერდა.

დარჩენილ ოთხ წონით კატეგორიაში შეჯიბრებები დღეს დამთავრება. ხალიჩაზე კი ჩემპიონატში თავისუფალი სტილით მოეჯიდავეები ჩაებმებიან.

საქართველოს XVIII ერთგული გულშემატკივარი უენგაურთში

უმაღლესი ლიგა. XXVIII ტური. ანონსი. 29 აპრილი

დინამო (თბ)	—	დინამო (თბ)
სიონი	—	სპარტაკი
ტორპედო	—	ბორჯომი
დილა	—	ცხინვალი
კოლხეთი1913	—	ზესტაფონი
დინამო (სოხ)	—	თბილისი
ამერი	—	ქასპი

ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
სიონი	27	20	4	3	46-17	64
ვიტ ჯორჯია	27	19	4	4	48-15	61
დინამო (თბ)	27	17	4	6	48-20	55
ზესტაფონი	27	16	7	4	38-19	55
დინამო (ბთ)	27	16	6	5	38-17	54
ბორჯომი	27	17	2	8	46-24	53
ამერი	27	15	3	9	32-21	48
ლოკომოტივი	27	10	4	13	37-43	34
ქასპი	27	9	3	15	32-43	30
კოლხეთი1913	27	8	5	14	22-29	29
ცხინვალი	27	8	3	16	27-52	27
ტორპედო	27	7	6	14	26-35	27
დილა	27	7	4	16	29-40	25
თბილისი	27	6	2	19	22-44	20
დინამო (სხ)	27	5	3	19	24-58	18
სპარტაკი	27	3	6	18	10-48	15

ხელშეკრულება ჩემპიონობაზე

არმის სპორტულ კლუბში გრძელდება ვაჟ ხელბერთელთა ეროვნული ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მატჩები III ადგილისთვის „თბილისი“ შეხვდა „შამფლს“. ამ პაექრობაში გამარჯვებული გამოვიდა „თბილისი“ — 29:19. მატჩებები ორ მოგებამდე ითამაშების უძლიერესის გამოსაკვლევად. გუნდები გამზეურებით დღეს 13 საათზე შეხვდებიან ერთმანეთს.

კალათბურთი | ვაჟთა პრემიერული ჩემპიონატი

გუშინ იმავე დარბაზში საქართველოს 15-ჯერ. ჩემპიონი სტუ — „შევარდენმა“ სარიონის სერიის პირველი მატჩი გამართა „ჭარბალასთან“ და გაიმარჯვა 25:22. მეორე შეხვედრა ამ გუნდებს შორის ხვალ გაიმართება ქ. ცხინვალის სახელობის სპორტულ კომპლექსში.

შანავა და არუთინიანი დიდოსტატები გახდნენ

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციიდან მიღებული ინფორმაციით, ფიდემ თავის საარბიტრაჟო სამსჯავროზე დიდოსტატის წოდება მიანიჭა თამაზ ქორავრთან გამორჩენილ მოჭადრაკეებს, რომელთა შორის საქართველოს რი წარმომადგენელია — **კონსტანტინე შანავა** და **დავით არუთინიანი.**

ზურაბ აზმაიფარაშვილის პრობლემა

გუშინ, ჭადრაკის ფედერაციაში გაიმართა ბრეინშტორმინგი, რომელშიც მოეწვიათ ცნობილი სხვისაგან აღიქმეს დიდოსტატ **ზურაბ აზმაიფარაშვილის** გადაწყვეტილება, ალარ ითამაშოს საქართველოს ნაკრებში. ქომაგები მცირე იმედს მაინც ტოვებდნენ, რომ შეიძლება ზურაბს გადაწყვეტილება შეეცვალა, მაგრამ ზურაბი შეეცადა, მიზეზსაც ასახელებს — საქართველოში რჩენენ მოჭადრაკეთა დაუფასებლობა, თუნი ჩვენს საუკეთესო სამყაროში არაკეთილმოსურნე დამოკიდებულება და დაბალული ურთიერთობა.

ღია პირველობა

ოლიმპიური მზადების ცენტრის დიდუბის სპორტსკოლის კომპლექსში 1991-1992 წლებში დაბადებულ კალათბურთელ გოგონათა თბილისის ღია პირველობას უმასპინძლა თბილისის მერიის სპორტის სამსახურის (უფროსი **გ. უდესიანი**) თაოსნობით. თბილისის სამი გუნდის გარდა ტურნირში მონაწილეობდნენ ქუთაისის (2 გუნდი), ზუგდიდის, ხონის, სამტრედიის, გორის, კასპის და ახმეტის წარმომადგენლები. პირველობა მოიპოვა თბილისის „მართვემ“ (მწვრთნელი **შ. იაქაშვილი**). მეორე ადგილზე გავიდა სამტრედიის, მესამეზე — ქუთაისის გუნდი (მწვრთნელი **თამარ ვაშაკიძე**).

გამარჯვებული და პრიზიორი გუნდები დაჯილდოვდნენ.

ვაჟთა ჯგუფის ლიდერი, მთავარი მსაჯი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

სოსო ჭაისურაძის შეგირდები საქვეყნოდ ემზადებიან

თუ დღეს ქართულ წყლბურთის ისევ შეშორება სახელი და სანაზებელ მოგონებად არ იქცა ტრადიციები, უპირველესად ეს თავის სამსჯის ფანატიკურად შეფარებული მწვრთნელის **სოსო მაისურაძის** დამსახურებაა. ეროვნულ ნაკრებამდეც მას მიჰყვს ნაბიჯ-ნაბიჯ ჭაბუები. საქართველოში დიდი ხანი ისტორიას ჩაბარდა წყლბურთში ეროვნული ჩემპიონატი და ჭაბუთა პირველობები, მაზეზი გასაგებია — გუნდის არარსებობა, რაც თავის მხრივ უბაზობასთან და მწვრთნელთა კადრების გადაწყვეტასთანაა გადაჯაჭვული.

რესპუბლიკა და ლურჯნის „გემფარველებს“, უფრო სწორად რაკი ტოლსწორად და ისეთ მეტოქედ გვყვანან, რომლისგანაც შეიძლება გამოცდილება შეიძინო და კლასი აიმაღლო, თავიანთ ღია პირველობებზე ბეჭედავენ. „ლელოს“ არაერთხელ, გაუმაჯობესებია იქ მიღწეულ წარმატებებზე ყურადღება.

ავარი, ამ დღეებში, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები კიევიდან დაბრუნდა.

იქ ლურჯნის ღია პირველობაში, ამ ჭაბუნის შარშანდელი ვერცხლის პრიზიორი ჩვენ გუნდს. წლეულს მეოთხე სათვალთვალო ჯგუფისთვის გაგზავნილ მათ მოუკეს სეკასტოპოლელებს 11:7, ხარკოვის „ლოკომოტივს“ 16:11, ლუგანის „დინამოსთან“ კი დამარცხდა — 10:11.

ამჟამინდელ ასპარეზობას ლურჯნელ თანაგუნდელთან, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. რადგან ჯერ კიდევ არაა სრულად დაკომპლექტებული გუნდი, რომელიც 4 მაისიდან ევროპის პირველობის საკვალიფიკაციო ტურნირში ჩაერთვება ბუდაპეშტში. ლურჯნში ასპარეზობის შეჯიბრს სწორედ გარკვეული კორექტივები შეიტანა ნაკრების კანდიდატთა შერჩევაში.

ბუღალტერში წვენი ახალგაზრდების მეტოქე მასპინძლთა გარდა რესპუბლის, ლურჯნის, კვარელის და ბოლოდროს თანატოლები იქნებიან.

„ლელო“ – „ბუმაგის“.

ეს რა გაიგონა ყურამ...

ყურს ბუნებამ სმენის შეგრძნება დაუწესა და მეტი არაფერი. ვერაინ წარმოიდგენდა ეს პატარა ფაქიზი ორგანო როდისმე ადამიანის ძალის დემონსტრირებით თუ მიიქცევდა ყურადღებას. მერედა, რა ძალის. აგერ, გუშინ, ყოფილმა მოჭიდავემ, ჩხორწყუილმა **ლაშა პატარაიამ**, თბილისში, რესტორან „ერისიონის“ წინა მოედანზე, ორი — ერთმანეთზე გადაჯაჭვული მიკროავტობუსი (სამარშრუტო ტაქსი) „ფორდი“, რომელთა საერთო წონა 4,5 ტონას აღემატებოდა, ცალ ყურზე რგოლურად გამობმული ნეილონის წვრილი თოკით ადგილიდან დაძრა და 41 მეტრსა და 10 სმ-ზე გააგორა.

საგინესო რეკორდს თვალყურს ადევნებდა მსაჯთა საგანგებო და აღტრიალებული კომისიები.

ცნობისთვის: ყურებით ძალის დემონსტრირება (სიმძიმეების აწევა) ახალი მიმართულებაა საგინესო მოძრაობაში. ამ სახალისო მიმართულების ფუძემდებელია ბათუმელი **დიმიტრი ქინქლაძე**, მერე მისი შედეგი ჩინელმა **ლი ძიან ხუამ** გააუმჯობესა, შემდეგ გამოჩნდა ლაშა პატარაია, რომელმაც ყურებით სიმძიმის აწევაში წინამორბედთა რეკორდი მოხსნა. ლაშამ ამის მერე თავად ჩაუყარა საფუძველი ცალი ყურით სიმძიმის გაწევას. პირველსავე ცდაზე მიკროავტობუსი 48,6 მეტრზე გადაადგილა (წონა 2350 კგ). და აი, ახალი ცდა ორი ავტობუსით.



შედეგი, საბანაო ღონისძიებაზეა, გიწყნის წიგნში შესატანად გადაგზავნება.

სად გაქრა „სპორტინფორმი?“

2006 წლის იანვარში, TV არხმა „ლელო“ ფრიადი სპორტული საჭმელი წამოიწყო. ყოველკვირა ხმაურის გარეშე ეთერში გაედა გადაცემა „სპორტულეზონი“, რომელსაც სულ მალე მაყურებელთა ყურადღება მიიპყრო. მეტიც: გამოხმაურებების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (სატელეფონო ზარები პირდაპირ ეთერში) და ალელვებულ თუ ცრემლნარევი TV მაყურებლების სიტყვებს გავიხსენებთ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი ეროვნული მუხტის გადაცემა, დღევანდელ საქართველოში ნამდვილად იშვიათობაა. განსაკუთრებული ზნებათა ღელვა გამოიწვია I ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის განსნის ცერემონიალების ჩვენებამ თბილისსა და განსაკუთრებით, სოხუმში.

რეფერენციაში ზარების რაოდენობამ იმატა. ძალიან ბევრი გვთხოვს გავიმეოროთ გადაცემები. რატომ რეკავენ „ლელოს“ რედაქციაში და არა უშუალოდ TV-ში? იმიტომ, რომ ჩვენი გაზეთი „სპორტულეზონის“ სანთურობაციო მხარდამჭერია, ხოლო მისი რედაქტორი საქართველოს სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი, რაც ეთერში გამოცხადდა. მაგრამ მთავარი მიზეზია ის, რომ როგორც ტელემაყურებელი გეტყობინებენ, ტელეტიტრებიან დარეკვა პრაქტიკულად შეუძლებელია — ტელეფონი გადადებულია, მესიჯებზე კი არ რეაგირებენ.

ისიც აღსანიშნავი, რომ „სპორტულეზონის“ ფენომენი, ქართულ TV სიცრცეს გასცდა და საერთაშორისო სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის პრეზიდენტის **ფრანკო ასკანის** ყურადღება მიიპყრო და გადაეცემის პატრონაჟი გადააწყვეტინა (რაც თავისთავად „სპორტულეზონისაგანაც“ მოითხოვს განსაზღვრულ ჭრელებებს). სხვათა შორის, „სპორტულეზონის“ საქართველოს სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის კოლეგტიური წევრია. სსტუ კი სტუსო-ს წევრი (ფედერაციაში 99 ქვეყანაა გაერთიანებული).

რასაკვირველია, „სპორტულეზონი“ ასე მარტივად (ანუ სათანადო მოტივაციის გარეშე) არ და ვერც გაჩერება ქართული TV სიცრციდან. მაყურებელი ელის სათაურში დასმულ კითხვაზე პასუხს იმათგან, ვინც სამი თვის განმავლობაში ამ მაყურებელს TV ეკრანიდან ესაუბრებოდა პირადარი ეთერში.

„ლელოს“ რედაქცია.

განცხადება

2006 წლის 4 მაისს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის საბჭოში დარბაზში ჩატარდება სპორტის სრული სახეობათა ეროვნული შეჯიბრების რიგით მეხუთე საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა. დასაწყისი 12 საათზე.

შეჯიბრების აღმასკომი.

შავნე და ალაპტოგენური პრეპარატები

სპორტი და დოპინგი

სიტყვა დოპინგი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარება, მაგ. ალკოჰოლის მიღებისას – ალკოჰოლური დოპინგი, სქესობრივი დოპინგი და ბოლოს, დოპინგი – სპორტში ანუ ხელოვნური ფარმაკოლოგიური პრეპარატების საშუალებით შრომისუნარიანობის ამაღლება.

დოპინგის წარმოშობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. თავდაპირველად სხვადასხვა სახის სტიმულატორებს საფუძველი ჩაეყარა ჩინეთში და ინდოეთში, შემდეგ ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთსა და ეთრატში. მიზანი იყო მეომრებისათვის შრომისუნარიანობის ამაღლების საშუალებების გამოყენება.

დროთა განმავლობაში ფარმაკოლოგიური ინდუსტრიის განვითარებამ, აგრეთვე ოლიმპიური თამაშებმა, განსაკუთრებით თანამედროვეს ოლიმპიურმა თამაშებმა, სპორტში სულ უფრო მეტი ადამიანის დასაჭიდებამ განაპირობა დოპინგის მომხმარებელთა რაოდენობის გაზრდა, ყოველივე ამან კი გამოიწვია იმ ფირმების გაძლიერება და გამრავლება, რომლებიც დოპინგურ სტიმულატორებს ამზადებენ და დღეისათვის დიდ პრობლემებს უქმნიან ჯანსაღი სპორტის განვითარებას და სპორტსმენის ჯანმრთელობას. ყოველივე ამას სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა და მასთან არსებულმა სამედიცინო კომისიამ, რომელიც ავადმყოფებულს სპორტსმენს გაიარის დოპინგ-კონტროლი. სპორტსმენის ორგანიზმში აკრძალული ნივთიერებების აღმოჩენის შემთხვევაში, იგი ისხნება შეჯიბრებიდან და ეძლევა დისკვალიფიკაცია. მიუხედავად ასეთი სიმკაცრისა, სოკ-ის სამედიცინო კომისია უძლურია დოპინგური ინდუსტრიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რახეც მეტყველებს ბოლო პერიოდში გამოფლენილი ფაქტები და იმ დასჯილ სპორტსმენთა რაოდენობა, რომლებმაც გამოიყენეს სტიმულატორები. აღარაფერს ვიმბობ სპორტსმენების დაღუპვაზე შეჯიბრებების თუ ვარჯიშის პროცესში, ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ტრაგედია სწორედ აღნიშნული სტიმულატორების ხშირად დოზით დოზით გამოყენებითაა გამოწვეული.

ჩემი აზრით, ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლისათვის საუკეთესო საშუალებაა დოპინგური სტიმულატორების (ანაბოლიკური სტეროიდების) აკრძალვასთან ერთად, მოსახლეობისათვის და კერძოდ, სპორტსმენებისათვის იმ ცოდნის სრულფასოვნად მიწოდება იმაზე თუ რა უარყოფითი გავლენა მოაქვს ალნიშნული პრეპარატების ხშირ გამოყენებას ადამიანის ორგანიზმისათვის.

ასეთი პრეპარატებია: ანაბროფინი, ბოლდენონი, დიანობოლი, ფურაბოლინი, მასტერონი, მეტანდიენი, მეთილეთინილესტოსტერონი, მაიკვინი, მეთილეტესტოსტერონი, ნაღრომოლინი, ნეოსტერონი, ოქსანდროლინი, რეტაბოლინი, სინანდროლი, სპექტრიოლი, სტანაზოლოლი, სტენბოლი, სტერანაბოლი, სუპერანაბოლი, სტრომბაჯექტი, ტესტორონი, ტესტოსტერონი, ტურინაბოლი, ჩუბოლინი და სხვა მრავალი.

მათ ხშირი გამოყენება აზიანებს ცენტრალურ ნერვულ, გულსისხლძარღვთა, ენდოკრინულ სისტემებს.

დოპინგთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებას წარმოადგენს აგრეთვე სპორტსმენებისათვის ინფორმაციის და ცოდნის მიწოდება, იმ პრეპარატების შესახებ, რომელებიც არ არის აკრძალული, არ იწვევს ორგანიზმში უარყოფით შედეგს. ამ ჯგუფის პრეპარატებს უწოდებენ ადაპტოგენურს (ბიოლოგიურად აქტიურ პრეპარატებს) და მოახსენიებენ, როგორც სპორტსმენს საკვებ დანამატებად, ეს პრეპარატები ძირითადად მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნივთიერებებითაა დამზადებული.

ამ ჯგუფის პრეპარატებს მიეკუთვნება: ჟენშენი, ხოლანინი, სოლაპანინი, ესკუზანი, სტერკულიინი, ეტონი, ლევზეინი, ფიტატინი, ადაპტონი და სხვა მრავალი. მათ შორის, პრეპარატები დამზადებული ზღვის ცხოველებისაგან.

ქაჯა ხარებოვსაშვილი,
საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

რეფერატიებისაბან: სპორტში სტიმულატორების გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლა დღეს მთელ მსოფლიოში ვმკვეთი სერიოზული ყურადღება. ევროსაბჭოს კონფერენციაზე ანტი-დოპინგის შესახებ საქართველო 2001 წელს მიეერთდა. მანამდე ჩვენს ქვეყანას თანხმობის მემორანდუმზე ჰქონდა ხელი მოწერილი. მერე საქართველოში ეროვნული ანტი-დოპინგური საგებერო ჩამოყალიბდა. სამწუხაროდ, დაფინანსების პრობლემა რჩება გადაუჭრელი, ხოლო, რაც ყველაზე, ყველაზე მხიარულ სეოკ-ის მხარდაჭერით. არადა, ანალიზები ძალიან ძვირია, სისხლის ერთი სინჯის ანალიზი 1000 ევრომდეც. შარდისა 250 ევრო ჯდება. არის საკონსულტაციო მომსახურებაც. საქართველოს პარლამენტს ჯერ არ მიუღია კანონი არც დოპინგ-კონტროლისა და არც სამედიცინო გამოკვლევების (ანალიზების) შესახებ. როგორც ამბობენ, ყველაფერი გათვალისწინებული იქნება ახალ „ჯანმრთელობის პარლამენტში შესახებ", რომლის პროექტი მზადაა, შეტანილია პარლამენტში და განხილვას ელოდება.

მისაბაძი სპორტული ოჯახი

საქართველოში ფალავნების ბალხის რიგულ რანდებად მიიჩეჯდნენ ოდითგან. ბევრი მათგანი ლეგენდად შემორჩა ქართულ ხალხურ ეპოსებში თუ ლიტერატურულ ნაწარმოებებში. ფალავნები ერის ზნეობრივი ქმერები იყვნენ დამორჩილებისა არა მხოლოდ ფიზიკური ძლიერებით, არამედ სულიერებითაც, როცა XIX საუკუნეში და XX ს-ის დასაწყისში ფალავნობამ კომერციული ელფერი შეიძინა, ქართველი ცნობილი მოჭიდავეები ქველმოქმედების მისაბაძ მაგალითს აძლევდნენ იმათ, ვისაც მეტი შემოსავალი აქვთ და შეხაბამისად შეეძლო მეტიც გაეღო.

ან, ასეთი გენის მემკვიდრენი ბიდნენ XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ფალავნები, რომეა მათ შემდგ დაიმკვიდრეს ადგილი ოლიმპიურ სპორტიდეზე და ტოლს არ უღებდნენ მეტოქეებს მხოლოდ თუ ეერიან პირველობებზე. სწორედ გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისიდან საფუძველი ჩაეყარა ერთიან ქართულ სპორტულ ოჯახს, რომლის ტრადიციებზე თაობები აღიზარდნენ. ამ ოჯახს ბაყადი და ჰკვეს ხალხის საერთაშორისოდ აღიარებული ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სპორტის დამსახურებული ოსტატი გურამ საღარაძე.

ასე ჭიდაობდნენ ჩვენი წინაპრები

„ცუდ პირველი დატკეცილთანაც თვალის დახამხამებაში გალახა „თორელი" („ფროება", 1882 წ).

X X X

„ეცერას, თვალმა ვერც კი მოასწრო ამის შენდეგა, დილანდება ორივე ხელი ჩასწიდა თავის მოწინააღმდეგეს, ჩაეხვია, მოიდეკ ეს ამოდენა კაცი ზურგზე, კისრით წამოიღო და მთელი ზურგით პირაღმა გაშლილთა მიწაზე..." („დროება", 1882)

X X X

„საღამოს ხუთი საათი იყო, როცა გამოვიდნენ ორი მოწინააღმდეგე მოედანზე — ორივე მშვენიერი, ტანადი, მხნე და მამაცი. მაყურებელს სიამოვნებით ეცქეროდა გული. გლადნელმა სამჯერ ზურგეით უყო ესტიას და თითქმის წააქცეულიც ჰყავდა, მაგრამ ცჯერი და მარჯვე მეგრელი მაშინე ფეხზე წამოდგა და ხელახლა შეეჯახნენ. მეორედ მოგვერდი უყო გლადნელმა, მაგრამ აქაც კატასავით წამოხტა ესტია ბუა, აკარა ხელი გლადნელს და ერთ წუთს პირაღმა წააქცია; გლადნელსაც უნდოდა ესეხუასაით ზეზე წამოდგომა, მაგრამ გაუნელდა, ესტიამ მძიმედ დასცა." („ოცატრი", 1886 ჩ. №36)

ბატუში. საქართველოს ჩემპიონატი

მოდის ღირსეული ცვლა

ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის 125 წლისთავს მიეძღვნა ეროვნული ჩემპიონატი ბატუმში, რომელსაც სპორტკომპლექსმა „სანაპირომ" სანამებოდ უმასპინძლა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის (**ქ. ნამგალაური**), ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის (**რ. სახაროვ ლიძე**) და „ჭინისა და მინერალური წყლების" კომპანიის მხარდაჭერით. მონაწილეობდნენ თბილისის (2 გუნდი), ბათუმის, სოხუმის, ქუთაისის და გარდაბნის 60 წარმომადგენელი.

ვაჟთა ინდივიდუალურ ხტომებში ოსტატობის პროგრამით, როგორც მოსალოდნელი იყო პირველობა არავის დაუთმო მსოფლიოს ოთხმაგმა ფინალისტმა თბილელმა **თენგიზ კოშკაძემ**. ამ სპორტსმენმა წარმოადგინა ორი ახალი ნებისმიერი ვარჯიში და სრულიად პირადი რეკორდი გაუტოლა — 15,4 ქ. მეორე იყო ასევე მსოფლიოს თასის ფინალისტი ბათუმელი **ზურაბ ჭყონია**, მესამე — **გიორგი ფუტკარაძე** და ოლეგ კოლესოვი (ორივე — თბ). აღსანიშნავია, რომ კოშკაძე, ჭყონია და კოლესოვი სპორტის ამ ეტაპზე ერთ-ერთ ყველაზე ხანდაზმულ სპორტსმენებად ითვლებიან.



ფოტო ირინა ბაგაიანისა

ვეფხვისა და ვეფხვის ამბავი

ფარიკაობა. ერთნული ჩემპიონატი

საქართველოს მუშკატრთა ნაკრები, საკმაოდ ხშირად მონაწილეობს ირანის ისლამური რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირებში. ჩვენი მოფრიალებული ირანდან სამშობლოში მედამ მედლებით ბრუნდებიან, საქართველოს ფარიკაობის ეროვნულმა ფედერაციამ გადაწყვიტა მსგავსი დიდი საერთაშორისო ტურნირი თბილისში 12-13-14 მაისს სპორტსზოგადოება „მეცრე-ნის" სპორტულ კომპლექსში გამართოს. მიწვეულები არიან ირანის, თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოფარიკავეთა ნაკრები გუნდები. როგორც საქართველოს ფარიკაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა **მორის სახვაძემ** განაცხადა, ირანის ნაკრები ჩვენს დედაქალაქში 30 მუშკატრით გვეწვევა, რომელთა შორის ქალებიც იქნებიან. ჩვენი ვალია, რაც შეიძლება მალე დონეზე ჩავატაროთ აღნიშნული ასპარეზობა და ტრადიციული გავხადოთ იგი.

ამ ტურნირის ერთგვარი პრელუდია იყო საქართველოს 2006 წლის ეროვნული ჩემპიონატი ფარიკაობაში, რომელიც ვაჟის სპორტულ დარბაზში ჩატარდა. ოქროს მედლებისათვის თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის 100 მუშკატრი იბრძოდა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ დაწნით მოასპარეზე ვაჟთა შორის, საქართველოს 2006 წლის ჩემპიონის ტიტული 34 წლის სახელმწიფო დაცვის სპეცსამსახურის უფროსმა ოფიცერმა თბილელმა **დიმიტრი გოგლიძემ** მოიპოვა. ჩემპიონობის ეიერომ სპეციალური პრიზი გადასცა ბათუმელ მოფარიკავეს **თამაზ სიხარულიძეს**, რომელსაც 21 აპრილს დაბადების დღე ჰქონდა. პრიზი მას საქართველოს დამსახურებულმა მწვრთნელმა **ლუდვიგ დადაბანდემ** გადასცა.

გთავაზობთ ჩემპიონატის ტექნიკურ შედეგებს. რაპორტი. ქალები. 1. რუსუდან წირქვაძე (თბ), 2. თინა ბოლქვაძე (ბათ), 3. ეკა ღუნაშვილი (თბ) და ლიკა გვაცეცლაძე (ქუთ). **ვაჟები.** 1. ირაკლი ჭილიძე (ბათ), 2. თემურაზ გორდაძე (ქუთ), 3. ავთანდილ ჭეიშვილი (ქუთ) და გიორგი გრიგოლია (თბ). **ხმალი. ქალები.** 1. ანა ფორჩხიძე (ქუთ), 2. ელენე გრიგოლია (თბ), 3. ანა ზალამბერიძე (ქუთ) და ზორენა თოფურია (თბ). **ვაჟები.** 1. კახა მაღრაძე, (თბ), 2. ირაკლი ზამბახიძე (ბათ), 3. ზურაბ ბახსოლიანი და დავით მთვარელიძე (ორივე — თბ). **დაშნა. ქალები.** 1. ნათია ჩაჩხიანი, 2. ნათია ჩუბინიძე (ორივე — ქუთ), 3. ქეთევან ქაფიანიძე (რუსთ) და ლანა გოგიტაძე (ქუთ). **ვაჟები.** 1. დიმიტრი გოგლიძიე, 2. დავით ელბაქიძე (ორივე — თბ), 3. ანდრეი აკაევი (ბათ) და სერგო ხატიაშვილი (თბ) ასპარეზობის დამთავრების შემდეგ დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები, რომელიც მზადებას დაიწყებს თბილისის სართაშორისო ტურნირისათვის.



დიმიტრი გოგლიძეს

შალვა ქირია.
რობერტ ბაგოთაის ფოტოები.



რუსუდან წირქვაძე

მხოლოდ ტექნიკური შედეგები

მკვლევარობა. ორკალი გვლეთაშვილს მემორიალი. ხელოვნური კლეკი. თბილისი. მონაწილეობდა 60-ზე მეტი სპორტსმენი საქართველოს რეგიონებიდან. ორკანიზატორი მკვლევარობის ეროვნული ფედერაცია. ჩატარდა თბილისის მერიის სპორტის სამსახურის (უფროსი ბ. უდესიანი) ხელშეწყობით.

სასრულიუნგ ცოცვა. გოგონები: 1. ხუცა ხუცაშვილი, 2. თამარ დიდებულიძე, 3. ქეთევან ნაცვლიშვილი, ვაჟები: 1. გურამ გაზდელაძი, 2. ავთო ქურასბედიანი, 3. გიორგი კოპანიძე. რთული ცოცვა. გოგონები: 1. ხუცა შაშვილი, 2. ნინო ჩარკვიანი, 3. დიდებულიძე; ვაჟები: 1. ალეკო დოლაბიძე, 2. გიორგი კოპანიძე, 3. გუგა დაბრუნდაშვილი.

X X X

სამთო მეთხეთმეტრეობა. გუდაური. თბილისის მერიის თასი. მონაწილეობდნენ თბილისის, გუდაურის, ბაკურიანის და სომხეთის სპორტსმენები. 1993-1994 წლებიანები. გოგონები. 1. ნ. წოკლაური (გუდ), 2. ნ. გაგა (ბაკ), 3. თ. ჯლამიძე (გუდ); ჭაბუკები: 1. ზ. ბაქრაძე (ბაკ), 2. ლ. შალია (თბ), 3. გ. ხუცოშვილი (ბაკ); 1991-1992 წ.წ. გოგონები: 1. თ. მელიქიშვილი (გუდ), 2. ნ. ნინუა (თბ), 3. ნ. ნაზღაიძე (გუდ); ჭაბუკები: 1. გ. ვახტანგიშვილი (ბაკ), 2. ა. ბენდანიძე (გუდ), 3. ი. ხვედელი (თბ); 1990 წლებიანები. გოგონები: 1. მ. წერქოველი (ბაკ), 2. ს. ქისტერი, 3. ნ. ნაზღაიძე (ორივე — გუდ); ჭაბუკები: 1. ი. აბრამაშვილი, 2. ნ. კიკნაძე, 3. გ. თედოშვილი (სამივე — ბაკ).

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია და თბილისის ოლიმპიური მზადების ცენტრ „სანაპიროს" თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ამავე ცენტრის დირექტორს გოგიტა ახვლედიანს ძმის

ბერიკა ახვლედიანის გარდაცვალების გამო.

ოგოლი ბიჭი „ოქროს სასწვრთნით“

განაწყენებული მსახი შთაა ზუკაკაშვილი კოლორატი კახელია, ენაწყლიანი თამადა, ცოლით იუმორის მოყვარული, ახლახან მას 80 წელი შეუსრულდა. შთაამ ღირსეულად იღვაწა ქართული სპორტისათვის. თუმცა, ილი ზედი არაა სოდეს უცნია უდედმამო პატარძეულად 10-12 წლის ბიჭი იყო ბიძამ გიგლეი ცხვარაშვილმა 6 თოხლის საფასურად. როგორ მოკამათეები მიაბარა ნორიოელ ვინმე „ანჩაულის“. ნორიოდან გაქცეული ობოლი ბიჭი ერთობლივ სოფელ უდაბნოს ცხვარს მწყემსავდა. იყო შემთხვევა — მგლის ხროვასაც გაეკრა და ერთი ღამე ხიზე გატარა...

ობლის კვარი ცხვა და გამოცხვა ყიდეც კოჯრის გზაზე პატარა მეცხვარეს შთაა ზუკაკაშვილს მანჭანა წამიდწია და იქიდან ძალი მოკიდევ გიორგი გარგაკაშვილის ფსეფდონიმით ცნობილი გიორგიშვილი გიორგი ხოსიტაშვილი გადმოგდა. ბარეკაძლება შთაა გორში წაიყვანა. „შთაროს“ აწყვია და ჭიდაობაში გორელ გიგლა ალექსიძეს მიაბარა. მერე თბილისში შეუტაიდის ბაღში ქართული ჭიდაობაში გამოირჩინა თავი. ვახტანგ კუხალიძემ თავისუფალ ჭიდაობაში ურჩია ვარჩევა, თავისუფალი ჭიდაობის მერე საბოლოოდ არჩევანი სამხრეზე შეაჩერა. „ღინამოზე“ ქრისტეფორე ნინოაშვილთან დაიწყო დაისტატება. 80 წელიწადზე მეტი სამხრეს მწურობილად მუშაობდა იგი სპორტსზოგადოება „სპარტაკის“ მწვრთნელი, მუშაობდა „ტაოსავში“, როგორც თვითონ წოთამ ბრძანა, მისი აღზრდილებია ცნობილი ჭიდაოები: **შენგელაი ფიცხელაური, რამაზ ხარშილაძე, გივი ონაშვილი, თამაზ გეგეშიძე, ამირან მუზაევი, ოთარ მუჩაიური, ილო ქალიაძე, ტარიელ ცინცაძე** და სპორტის 104 ოსტატი...

აჭერ ჭიდაობის თუ მუხლის სერიოზული ტრავმის გამო ჩამოსცილდა, მაინც ვიდაობის სამსახურში დარჩა. დარჯის მძღოლი იყო, მაგრამ მწვრთნელობას მაინც არ უღალატა. ყველაზე დიდ წარმატებას შთაამ მაინც სამხრის და ქართული ჭიდაობის მსპობაში მიაღწია. 40 წელიწადზე მეტია სპარტაკელთა სამხრის მსპია კოლეგიის თავმჯდომარეა.

1972 წელს რიგაში ჩატარდა ევროპის ბრწყინვალი ჩემპიონატი სამხრში. ამ ასპარეზის შემდეგ კარგი მსპობისთვის, მაბნელი წესების თანახმად, შთაას ჯერ მხსაც, მერე და ბოლოს პირველი სერთაშორისო კატეგორიის მსპის წოდება მიანიჭეს. გახდა ევროპელების მსპიც და „ოქროს სასტენის“ მფლობელიც. მრავალჯერ იყო დასახელებული სამხრის მსოფლიოს 10 საუკეთესო მსპს შორის.

შთაა ზუკაკაშვილმა მოიპოვა XX საუკუნის სპორთველის საუკეთესო არა. ბიერს წოდება ჭიდაობა სამხრში.

რაც შეეხება ქართულ ჭიდაობას, არ ჩატარებება მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ქართული ჭიდაობის ზეიმი, სადაც სასტიკი ხელში ხანგრძლივი სარბიელის ან ხალოს შეაგდეულ არ იდგეს თამაშობა შთაა ზუკაკაშვილი. ეროვნული კატეგორიის მსპი ქართული ჭიდაობის ლამაკუმის წყვრი 80 წლის ასაკშიც ეროვნული ჭიდაობის ფიცხელ ჭიდაეში სამართლიან და ალალ გადაწყვეტილებებს იღებს...

შთაა ზუკაკაშვილი ამაყობს 1973 წლის სამხრში მსოფლიოს პირველი ჩემპიონის, ტრაგიკულად დაღუპული ბიჭის ბესიკ თუთიაშვილის ტრიუმფით, რომელმაც ამ ტურნირში „ტარანის“ ტაკიმიტე ხამხის ჩოხა თუთიაშვილ მოაცვა ტანზე ჩვენს ლეგენდარულ თაყვანცემულ ტრენიორ მოჭიდეს **ლევან თუთიაშვილს.** „საგარეჯოელმა თუდა“ კი მაშინ პირველად ქართველი მოჭიდავეებიდან, ჭიდაობის ორ სახეობაში თაყვანცემულა და სამხრში მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონობა...

შთაა ზუკაკაშვილი სამხრში მსპია სერთაშორისო კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილეა დღესაც.

შთაას თამაშება ვახსენეთ და ერთსაც გავიხსენებთ. მარტყოფში ერთ ოჯახში უნდა ეთამაშა. ამ დროს მოულოდნელად რუსეთის ჭალე კალინინში, დღეგანდელ ტვერში გამოთამაშეს სამსაფოდ. მაგრამ ტრადიციას არ უღალატა და რუსეთიდან მარტყოფში ტელეფონის მეშვეობით ჩვენი სალეგიონერებით თამადობა მთნე გასწია...

საქართველოს და სამხრთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორთშორისო კატეგორიის ექსტრა-კლასის მსპი



ოცდაშვიდქვა ოლიმპიური თამაშები

აშშ-ის ქალაქ კალიფორნიის გუნდის წევრი ტურვა ჯედარდი ატლანტაში მესამეგზის გახდა თამაშების მონაწილე. ის ბრინჯაოს მედლის მფლობელია. ასეთი შედეგისთვის არც ერთ ქალთამეშეთ ქალს არ მიეღწევია. იგი ამავე დროს XXIII თამაშების, ლოს-ანჯელესში ყველაზე ახალგაზრდა ქალთამეშეთა იყო — (20 წლის), ხოლო ატლანტაში ყველაზე უხნესი ვიდა (32 წლის).

მსტერულ ტანვარჯიშში გუნდურ ვარჯიშში გამარჯვებულ ესპანელთა შორის იყო 15 წლისა და 87 დღის **ლორენს გურენდესი.** იგი ყველაზე ახალგაზრდა ოლიმპიური ჩემპიონია ამ სახეობაში.

გერმანიის გუნდის წევრი ცხენოსნთა გუნდურ შეჯიბრებაში **კლაუს ბალკენჰილი** ჩემპიონი 56 წლისა და 241 დღის ასაკში გახდა.

რუსეთის წარმომადგენელმა **ალექსანდრე კარელინმა** მესამეჯერ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული ბერნულ-რომაულ ჭიდაობაში მძიმეწონასთა შორის და ერთ-ერთი ლიდერია ოჯრის მედლების რაოდენობით სპორტის თაყვის სახეობაში.

პლაჟის ფრენბურთში (ბიჭ ვალეი) თამაშების პირველი ჩემპიონები გახდნენ ქალთა შორის, ბრაზილიელები **სანდრა პერეს ტავარესი** (24 წლის) და **ჟაკლინ სილვა კრუზი** (35 წლის), ხოლო ვიეთა შორის, ამერიკელები **კენტ სტეფანსი** (28 წლის), **კარმ კიმეელი** (36 წლის). ამ უკანასკნელისათვის ეს იყო მესამე ოჯრის მედალი. პირველი ორი მან მოიპოვა 1984 და 1988 წლებში აშშ-ის გუნდის შემადგენლობაში დიდ ფრენბურთში.

ფეხბურთში ნიგერიელი **სელასტინ ბაბაიარო** ყველაზე ახალგაზრდა (18 წლის) ჩემპიონი იყო. ატლანტაში პირველად მოეწერო შეჯიბრება ფეხბურთში ქალთა შორის. გაიმარჯვა აშშ-ის გუნდმა. გუნდში ყველაზე ახალგაზრდა იყო 19 წლის **სინდი პარკი** და ყველაზე ხანგაზრდი — 32 წლის **კარინ გაბერა.**

22 წლის ასაკში გახდა თამაშების ჩემპიონი დაფიქრი სტარტით საგზაკვლევო რბოლაში რუსეთის წარმომადგენელი **ზულფია ზაბიროვა,** ხოლო ფინალში 37 წლის **ვანი ლინეო კიარელიმ** გაიმარჯვა ჯვეფურ ეტაპებზე 104,4 კმ. დისტანციაზე.

ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზე ქართველი პირველ დამოკიდებულ გუნდის შემადგენლობაში 36 სპორტსმენი გამოდიოდა სპორტის 16 სახეობაში.

ძიდეიტ **სოსო ლიპარტელიანზე**

ჭიდაობა. ვიქტორინა

1. სად და რომელ თამაშებში მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონობა თავისუფალი ჭიდაობაში დავით გობეჟიშვილმა?

ა — სეული, 1988 წელს
ბ — ბარსელონაში, 1992 წელს
გ — ატლანტაში, 1996 წელს

2. სად, რომელ თამაშებში გაგხდა ოლიმპიური თამაშების სამჯზის ჩემპიონი ალექსანდრე მეღვდელი

ა — მონრეალში, 1968 წელს
ბ — მიუნხენში, 1972 წელს
გ — მოსკოვში, 1980 წელს

3. რომელი ფალავანი ორი სატრიალოდ პირველი მსოფლიო ჩემპიონი?

ა — არსენ მეკოპიანელი
ბ — დავით ცისკარიძე
გ — გივი კარტოხია

4. რომელი მოქიდავეები საქართველოდან ოლიმპიური თამაშების ორჯზის ჩემპიონი?

ა — ლუკა თუთიაშვილი
ბ — რომან რურუა
გ — დავით გობეჟიშვილი

5. საქართველოდან რომელი ფალავანი გაგხდა 1990 წლის კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი?

ა — ლერი ხაბელაშვილი
ბ — დავით გობეჟიშვილი
გ — ავთანდილ გოგოლაშვილი

წინა ვიქტორინის პასუხები: 1-გ, 2-ბ, 3-ა, 4-გ, 5-ბ.

სპორტი — ყველასათვის!

საქართველოს სახელგანთქმული სპორტსმენი, ოლიმპიური ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის მედალოსანი, ცნობილი მწვრთნელი, ბატონი **მ. მერკვილაძე** მასობრივი სპორტული შეჯიბრებების ცდილობს, რაც შეიძლება ამ სისტემის მეტი წარმომადგენელი აზიარის სპორტის სიკეთის. ახლახან ფედერაციის თაოსნობით ჩატარდა სტუდენტთა 2006 წლის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში.

ბოგბურთი (სართაჭალა), 3. ვ. იმერლიშვილი (რუსთავი) და ზ. გაბრიაძე (თბ).

25-30 ოქტომბერს სტამბილში გაიმართება ევროპის პირველობა ჭიდაობა შორის, რომელიც თავისუფალ, ასე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. საქართველოს პირველობები სწორედ სტამბილის ასპარეზობისთვის ნაირების განდიდატების შერჩევას ისახავდა მიზნად.

გოგონათა შორის პირად პირველობაში უძლიერესის საჩელი მოიპოვა **ნატო აბაშიძემ** (ისუ), მეორე იყო **ბაია ბოცაძე** (სამედ. უნ), მესამე — **დალა ბიბეიხუნოვი** (ავრ. უნ). ვაჟებში ჩემპიონი გახდა **ლაშა მათითაშვილი** (ისუ), მეორე და მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს **გიორგი ქსოვრელმა** (ისუ) და **დათო ურუშაძემ** (უნ. „გიენათი“). გუნდური ადგილები განაწილდა ასე: 1. ისუ, 2. აგრარული უნივერსიტეტი, 3. სამედიცინო უნივერსიტეტი.

სამედიცინო უნივერსიტეტის ფიზიკური აღზრდის კათედრამ (გამგ. **ზ. ფხაკაძე**) ყველაფერი გააკეთა ასპარეზობის მაღალ დონეზე სამასპინძლოდ.

ბიჭი მამელარი.

სპაგეთლის წინ ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ბაბაშები

თავისუფალ ჭიდაობაში ჩაბეჭდა შორის საქართველოს პირველობის დამთავრების შემდეგ ეს ოფიციალური სახელობის ბარანული სპორტული ჭიდაობის ამჟამ ასაკში ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავეებს დაეთმოთ. გაგიანებით გამართულებულს და პრიზიორებს.

42 კგ: 1. ზ. დათენაშვილი (თბ), 2. ლ. ამბანდაძე (ქუთ), 3. გ. ჭელიძე (ოზურგეთი) და ზ. ფიფიაშვილი (ლანჩხუთი). **46 კგ:** 1. გ. გოგიბერიძე (ქუთ), 2. ზ. დათენაშვილი (თბ), 3. ზ. ბაქარაშვილი (ოზურგეთი) და ა. ქუთათელაძე (ქუთ). **50 კგ:** 1. ა. თოფურიძე (ქუთ), 2. დ. ბაზიაშვილი (ბარდა), 3. ჯ. ხარაბაძე (ოზურგეთი) და ნ. უშვიაძე (თბ). **54 კგ:** 1. ვ. ბაკურაძე (ქუთ), 2. ლ. ტატიშვილი (ქუთ), 3. თ. ბაგდავაძე (თბ) და მ. მელუა (ლანჩხუთი). **58 კგ:** 1. ი. ნაცვლიშვილი (თბ), 2. ძ. ჩიტაშვილი (ბარდა), 3. ბ. ბაქარაშვილი (ზოტი) და დ. ბიწაძე (ქუთ). **63 კგ:** 1. ა. ყანდარაშვილი (ბარდა), 2. ა. სადღილაშვილი (ქუთ), 3. ლ. გვარამია (ზოტი) და ლ. ოთხმეზური (ქუთ). **69 კგ:** 1. ბ. ლეონიშვილი (ბარდა), 2. უგენგლიანი (ბარდა), 3. ვ. ჭელიძე (ოზურგეთი) და ნ. ბაქრაძე (თბ). **76 კგ:** 1. ბ. ჩერქეზიშვილი (ბარდა), 2. ლ. ჭარხალაძე (ზოტი), 3. ზ. ბერულაშვილი (თბ) და ა. ჯოგბერიძე (ბარდა). **85 კგ:** 1. ც. ჭერქეზიშვილი (ბარდა), 2. ვ. ალიშვილი (ბარდა), 3. ლ. ბერულაშვილი (თბ) და ნ. ჭოთოლიანი (ოზურგეთი). **100 კგ:** 1. ვ. ჭარხალაძე (ოზურგეთი), 2. ბ. ბაქრაძე (თბ), 3. ა. ბერულაშვილი (თბ).

ანგლიკური ოლიმპიადებიდან დღემდე



ზემოთ ილაპა მეორე სპორტსმენი, რომელმაც მედალი მოიტანა ქვეყნის ნაკრებს თავის უფლად მოკიდავე ვლადარ კურტანიძეა. ელდარ ატლანტის ხალიჩაზე შეიდრე გამოვიდა მან ექსკურტა ხალიჩა გამარჯვება ოლიმპიურ ჩემპიონობა ამ სახეობაში.

ქვეყნები და მედლები

	ქვეყანა	ო	ვ	ბ	ჯ
1.	აშშ	44	32	25	101
2.	რუსეთი	26	21	16	63
3.	გერმანია	20	18	27	65
4.	ჩინეთი	16	22	12	50
5.	საფრანგეთი	15	7	15	37
6.	იტალია	13	10	12	35
7.	ავსტრალია	9	9	23	41
8.	კუბა	9	8	8	25
9.	უკრაინა	9	2	12	23
10.	კორეა	7	15	5	27
11.	პოლონეთი	7	5	5	17
12.	უნგრეთი	7	4	10	21
13.	ესპანეთი	5	6	6	17
14.	რუმინეთი	4	7	9	20
15.	ჰოლანდია	4	5	10	19
16.	სამხრანეთი	4	4	0	8
17.	ჩეხეთი	4	3	4	11
18.	შვეიცარია	4	3	0	7
19.	ფინია	4	1	1	6
20.	თურქეთი	4	1	1	6
21.	ცანადა	3	11	8	22
22.	ბელგიელეთი	3	7	5	15
23.	იაპონია	3	6	5	14
24.	ჯაპანეთი	3	4	4	11
25.	ბრაზილია	3	3	9	15
26.	ახალი ზელანდია	3	2	1	6
27.	სამხრეთი აფრიკა	3	1	1	5
28.	ირლანდია	3	0	1	4
29.	შვედეთი	2	4	2	8
30.	ნორვეგია	2	2	3	7
31.	ბელგია	2	2	2	6
32.	ნიგერია	2	1	3	6
33.	ესპრ	2	1	2	5
34.	ალჟირი	2	0	1	3
35.	ეთიოპია	2	0	1	3
36.	დიდი ბრიტანეთი	1	8	6	15
37.	ბელარუსი	1	6	8	15
38.	ყენია	1	4	3	8
39.	ირანი	1	3	2	6
40.	ფინეთი	1	2	1	4
41.	ინდონეზია	1	1	2	4
42.	უკრაინელეთი	1	1	2	4
43.	ირანი	1	1	1	3
44.	სლოვაკეთი	1	1	1	3
45.	სომხეთი	1	1	0	2
46.	ხორვატია	1	1	0	2
47.	პორტუგალია	1	0	1	2
48.	ტაილანდი	1	0	1	2
49.	ბურუნდი	1	0	0	1
50.	ეკვადორი	1	0	0	1
51.	კოსტა-რიკა	1	0	0	1
52.	სირია	1	0	0	1
53.	ჰონკონგი	1	0	0	1
54.	არგენტინა	0	2	1	3
55.	ნამიბია	0	2	0	2
56.	სლოვენია	0	2	0	2
57.	ავსტრია	0	1	3	4
58.	ბაღანეთი	0	1	1	2
59.	მოლდოვა	0	1	1	2
60.	უზბეკეთი	0	1	1	2
61.	ბაჰამის კუნძ	0	1	0	1
62.	ბაჰამის კუნძ	0	1	0	1
63.	ბაბამი	0	1	0	1
64.	ლატვია	0	1	0	1
65.	ტაივანი	0	1	0	1
66.	ტონგა	0	1	0	1
67.	ფილიპინები	0	1	0	1
68.	მაროკო	0	0	2	2
69.	**საქართველო**	**0**	**0**	**2**	**2**
70.	ტრინიდ-ტობაგო	0	0	2	2
71.	ინდოეთი	0	0	1	1
72.	ისრაელი	0	0	1	1
73.	ლიტვა	0	0	1	1
74.	ჩეჩნეთი	0	0	1	1
75.	მოზამბიკი	0	0	1	1
76.	მონღოლეთი	0	0	1	1
77.	პუერტო-რიკო	0	0	1	1
78.	ტუნისი	0	0	1	1
79.	უგანდა	0	0	1	1
სულ		**271**	**273**	**298**	**839**

ოცდაშვიდქვა თამაშები. 1996 წ.

ბათამაშებული მედლების რაოდენობა

სპორტის სახეობა	ვაჟი	ქალი	სულ
1. აკადემ. ნიჩბოსნობა	8	6	14
2. აფრინობა	7	3	10
3. ბაიდარა, კანოე	12	4	16
4. ბადმინტონი	3	2	5
5. ბაღახის ჯოკი	1	1	2
6. ბეისბოლი	1	-	1
7. ვოლისპორტი	8	6	14
8. თანამედ. ხუთპენი	1	-	1
9. კალათბურთი	1	1	2
10. კრივი	12	-	12
11. მაგიდის ჩოგბურთი	2	2	4
12. მძლეოსნობა	24	20	44
13. მშვილდოსნობა	2	2	4
14. მხატვ. ტანვარჯიში	-	3	3
15. სინქრონული ცურვა	-	1	1
16. სოფტბოლი	-	1	1
17. სროლა სასტენელი	3	1	4
18. სროლა ტარიი	7	4	11
19. ტანვარჯიში	8	6	14
20. ფარიკაობა	6	4	10
21. ფეხბურთი	1	1	2
22. ფრენბურთი	1	1	2
23. ფრენბურთი პლაჟის	1	1	2
24. ჩოგბურთი	2	2	4
25. ცურვა	16	16	32
26. ცხენოსნობა	6	-	6
27. ძალოსნობა	10	-	10
28. ძიუდო	7	7	14
29. წყლბურთი	1	-	1
30. წყლბურთი ხტომა	2	2	4
31. ჭიდაობა ბერძ-რომ.	10	-	10
32. ჭიდაობა თავისუფ.	10	-	10
33. ხელბურთი	1	1	2
სულ	**174**	**97**	**271**

დასაწყისი „ლელო“ №2-დან.

დასაწყისი გაგრძელება იქნება.

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

Coca-Cola
ოფიციალური სპონსორი

ბრძოლა არ დასრულებულა

ეროვნული პირველობის უმაღლესი ლიგის გათამაშებაში გარკვეული ჭრილ კიდევ არაფერია. ოცდაშვიდე ტურის მატჩების შედეგებმა ვითარება კიდევ უფრო დაბნა. ტურის მთავარ მატჩში ჯაფარიანთა ჩემპიონატის ერთპირობიანებულმა ლიდერმა „სიონმა“. ორმხრივ ურთიერთში მიმდინარე მატჩში ბორჯომელ მასპინძლებს გაუმარჯოსთ. **სანიკიძის** ერთადერთმა გოლმა სამი ქულა ცეროროტზე დატოვა. ლიდერის მარცხით კარგად ისარგებლა მისმა მდევარმა „ერტ ჯორჯიამ“. ვიტებულმა მტკიცედ ქეთაისის „ტორპედო“, ასევე **იმედაშვილის** ერთი გოლით დაამარცხეს და ბოლნისელთათან ქულათა სხვაობა სამამდე შეამცირეს. ზესტაფონში ადგილობრივი გუნდისა და ბათუმის „დინამოს“ მატჩში ნულიანი ფრე დაფიქსირდა. რამაც თბილისის „დინამო“ მესამე ადგილზე დაბრძანება. დინამოელებმა ადგილად სძლიეს გორელ სტემრატებს და კონკურენტებს გადაასწრეს. კვლავ სიურპრიზი შემოგვთავაზეს „ლეჩხუმელებმა. სპარტაკელებმა წინა ტურში ბორჯომელებს სძლიეს, ახლა თანამედავე ამერილების ორი ქულაც წაართეს და ფაქტობრივად, მედლებისთვის ბრძოლას ჩამოაცილეს. ისევ გაიმარჯა „თბილისმა“. **გიგა ტუციაშვილს** შეგირდებმა ამჯერად „ლოკომი“ დაამარცხეს და ტრიუმფით, ლიგიდან ბოლო გავარდნის შონას თავი დააღწიეს. ტურის კიდევ ერთ მატჩში მასპინძლებმა იფარგლეს. თელავში „ახალთა“ სოხუმის „დინამოს“ მოუვა. გორში „ცხინვალმა“ თბილისის „ლოკომოტივი“ გაამარცხა.

ხვალ, შაბათია და წესისამებრ, მორიგი ოცდაშვიდე ტურის მატჩები გაიმართება. როგორც უკვე აღენიშნეთ, ჩემპიონატის სასრული ადგილებისთვის ბრძოლა ჭრილ არ დასრულებულა. გათამაშების ცხრილის სამოლიო დაწერაც ადრეულია. ჩემპიონობისთვის, ისევ და ისევ ორ ძალოსანს შორის მიმდინარეობს. ჩემპიონობისთვის ბრძოლის ქარცეცხლში ორად ორი გუნდი ისპობა. ესენი არიან ბორჯომელები და ბოლნისელები. ორივე ამ ნაკრებს ხვალ ერთ-ერთი ადგილი ექნება ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე. ამ ორიდან ერთი ნამდვილად ვერ მოხვდება ამ ეტაპზე. ბორჯომელებს ხვალ ორი ქულა ჰყოფნით და ბოლნისელებს ორი ქულა აკლიათ

საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

უგოლოდ...

უეფას ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ბარსელონა“ და „არსენალი“ ხვდებიან

17 მაისს, სენ-დენიში, „სტად-დე ფრანსზე“ უეფას ჩემპიონთა ლიგის ფინალურ შეხვედრაში ერთმანეთს დაუპირისპირებიან ესპანური „ბარსელონა“ და ლონდონის „არსენალი“. ეს გარკვა განმეორებითი ნახევარფინალური შეხვედრების შედეგების მიხედვით. სანტერესოა, რომ ორივე თამაშში ერთი ბურთიც არ გასულა.

ფეხბურთის ქართველ გულშემატკივართა ინტერესს, რაღა თქმა უნდა, იწვევდა შეხვედრა „ნიუ კამპზე“, სადაც „ბარსელონა“ მასპინძლობდა კახი კალაძის „მილანს“. ლუზამაზარ არენაზე თავისუფალ ადგილს ვერ იპოვნიდით — შეხვედრას 98 ათასზე მეტი მაყურებელი უსწრებდა.

პირველი მატჩი კატალონიურ კლუბს 1-0 ჰქონდა მოგებული და საკუთარ მოედანზე ფრეც აძლევდა ხელს ფინალში გასასვლელად. რაც შეეხება „ბარსელონას“ აკონტროლებდა თამაშის მსვლელობას, ფრანკ რაიკაარდის შეგირდები ცდილობდნენ თითოეული შეტევა კარში დარტყმით დაესრულებინათ. თუმცა, როცა შესვენებაზე გავიდნენ გუნდები, ტაბლოზე 0-0 ეწერა.

მეორე ნახევრის დასაწყისში „მილანმა“ დაწინაურების რეალური შანსი გაუშვა ხელიდან — ზედოროვის გადაცემის შემდეგ ანტონი შეეჯახა ბურთის გატანას ვერ მოახერხა.

ასე, მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში ერთი გუნდის შეტევას მეორე გუნდისა ცვლიდა. გოლი კი არ ჩანდა. რაც უფრო დრო გადიოდა, „მილანის“ ფეხბურთელები უფრო ნერვიულობდნენ — უფრო აგრესიულები გახდნენ შეტევების დროს, დაცვაში კი შეცდომების დაშვებას მოუხშირეს.

ერი მომენტში ანტონი შეეჯახა ბურთის გატანაზე, მაგრამ მატჩის არბიტრმა მარკუს მერრამა ჩათვალა, რომ ბურთის გატანამდე უარიანელმა ჯეიოლს უხმიჭა...

საბოლოოდ მატჩი უგოლოდ დასრულდა, რაც „ბარსელონასთვის“ გამარჯვების ტოლფასი იყო.

მეორე ნახევარფინალურ შეხვედრაში „ვილიარეალი“ ლონდონის „არსენალს“ მასპინძლობდა. ესპანური კლუბის მიღწევა ჩემპიონთა ლიგის ამ ეტაპამდე უკვე გათამაშების სენსაციად იყო აღიქმეული. „ვილიარეალის“ პირველი შეხვედრა ლონდონში „პაიპირზე“ 0-1 დამთავრდა. ცხადია, სპასპენი შეხვედრაში ორი უპასუხო ბურთი უნდა გაეტანა, რათა შემდგომ ეტაპზე გასულიყო.

„ვილიარეალს“ წამყვან ფეხბურთელს ხუან რომან რიკელმეს სჯეროდა, რომ ის და მისი თანაგუნდელები „არსენალს“ გამოთამაშას შეძლებდნენ, მაგრამ...

მატჩის დასაწყისში ორივე გუნდი ფრთხილობდა. პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს შუა ტაიმში — რიკელმეს ფლანგზე გაინავარდა და ბურთი მეტოთხე სჯარამიში ჩააწოდა — იქ სორინმა დაასწრო ჯილას, თუმცა, ბურთი პირდაპირ გოლკიპერ ლემანს დაუმიზნა.

პირველ ხახევარში ტაქტიკური უპირატესობის მასპინძლები ფლობდნენ, თუმცა, სტუმრებთა კარის მიმართულებით დარტყმების რაოდენობა არცთუ ბევრი იყო. ტაიმის მიწურულს გილერმო ფრანკო ტრტაშმა თავით, ლემანმა გაჰპრუხით მოიგერია ბურთი.

მეორე ნახევრის დასაწყისში მოედანზე მოულოდნელად განხდა მავანი გულშემატკივარი, რომელმაც „არსენალის“ მაისური ფარიგრით „ბრი“ „არსენალის“ ფარიგარებს მიაჩუქნია. ანტონი შეეჯახაა ჰქონდა კარგი მომენტი, მაგრამ ფულენდან დარტყმული ბურთი „ბარსელონას“ კარის ბადეს ვერაფერს მოხედა.

ენერგიულად შეუტიეს. 65-ე წუთი დიდხანს ემახსოვრება დიდგო ფორანს, რომელმაც რიკელმეს გადაცემის შემდეგ ცარიელ კარში ვერ გაიტანა ბურთი. მოგვიანებით, „არსენალის“ კარში გოლი გავიდა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე მდგომარეობა დაადგინა.

90-ე წუთზე „ვილიარალს“ საჭმის დამატებით დრომდე მოყვანის შესაძლებლობა შანსი მიეცა. — „არსენალის“ კარში თერთმეტმეტრიანი დაინიშნა. რიკელმეს დარტყმა ლემანმა მოიგერია და ამით თავისი რეკორდული მაჩვენებელი გაზარდა — უკვე 744 წუთია, „არსენალს“ გოლკიპერი მშრალად ინახავს კარს. ნუღოვანმა ფრეშ ფინალში არსენალის გუნდი გაიყვანა.

უეფას ჩემპიონთა ლიგის განმეორებითი ნახევარფინალური მატჩები „ბარსელონა“ — „მილანი“ 0-0 (პირველი მატჩი 1-0).

„ბარსელონა“: ვალდესი, ბელეტი, მარკესი, პუიოლი, ვან ბრონკჰორსტი, ინიესტა, ეტოო, ედმილსონი, დეკუ. ვიფელი (ლარსონი, 69), რონალდინიო, ეტო'ო (ვან ბომელი, 89).

„მილანი“: დიდა, სტამი, კოსტაკურტა, (ყაფუ,65), კალაძე, სერინიო, გატუზო (რუი კოშტა, 68), პირლო, ზედოროვი, კაკა, შევჩენკო, ინძაგი (ჯილარდინო, 80).

გააფრთხილეს: ედმილსონი (90) — კოსტაკურტა (44).

მსაჯი: მერკი (გერმანია).

„ვილიარეალი“ — „არსენალი“ 0-0 (პირველი მატჩი 0-1)

90-ე წუთზე რიკელმემ ვერ გაიტანა თერთმეტმეტრიანი.

„ვილიარეალი“: ბარბოსა, ხავი ვენტა, კრიგ ალვარესი, არუა ბარენა (როგერ გარსია, 82), მანუელ პენია, სენა, ზოსიყო (ზოსე მარი, 63), სორინი, რიკელმე, ფორლანი, ფრანკო.

„არსენალი“: ლემანი, ებუე, ტურე, კემპბელი, ფლამინი (ლეჭი, 9) ვილბერტ სილვა, ფაბრეგასი, გილეი, იუნგბერგი, რეიესი (პირესი, 69), ანო.

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი).

ისევ კენჭს იყრის?

უეფას თავკაცმა 76 წლის ლენარტ იოჰანსონმა მოულოდნელად განაცხადა, რომ ამავე ორგანიზაციის საარჩევნებზე კენჭს იყრის.

„მე განვიხილავ ასეთ ვარიანტს, რადგან პრეზიდენტობის რეალური მსურველები არ გამოჩენილან. დღეისთვის კანდიდატებს კი სამარცხვინო კომპრომისი არ აქვთ,“ — თქვა იოჰანსონმა.

შეგახსენებთ, რომ იოჰანსონი 1998 წელს ფიფას საარჩევნებში მონაწილეობდა, მაგრამ სავარძლისთვის ბრძოლა წააგო ოზუჟ ბლატერთან.

სკოლარი ინგლისის ნაკრებში...

როგორც ჩანს, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს დაიკავებს ლუის ფელიპე სკოლარი. ამ სპეციალისტს უკვე ოფიციალური წინადადებით მიმართა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ. თანხმობის შემთხვევაში სკოლარი შეუდგება სენ-გორან ბრაზილის

თბილისის პირველობაზე

ბადრაკის სასახლეში გაიმართა თბილისის პირველობა 14 და 16 წლამდე ასაკის მოჭადრაკეთა შორის. 24 წლინახევრიანი ბრძოლის შემდეგ ეიფის შორის უძლიერესი იყო ირაკლი ჭანიაშვილი, რომელმაც 6 ქულა მოაგროვა. გამარჯვებულს ნაჩვარი ქულით ჩამორჩა გიორგი გოჩაშვილი, 5 ქულით მესამე ადგილი დაიკავა გიორგი ცირქიძემ.

გოგონებში ყველას ჯობნა ნანი უნაფქაშვილმა, რომელმაც 5 ქულა მოაგროვა. მეორე ადგილზე გავიდა ირმა გელდიაშვილი — 3,5, ხოლო მესამეზე — თიკო ლობჟანიძე — 2,5.

16 წლამდელ ბიჭებს შორის 7,0 ქულით გაიმარჯვა ზედაც ფაქიზ, რომელმაც ერთი ქულით გაუსწრო უძლეველს მდევარს — თამაზ გუგულაშვილს. 5,5 ქულით მესამე ადგილი დაიკავა ელდარ ღლონტიძემ.

გოგონათა შორის ყველაზე მეტი — 5 ქულა მოაგროვა ნინო ანაკიძემ, 4 ქულით მეორე ადგილზე გავიდა ლიკა კობეშავიძე, ხოლო მესამეზე — მარიამ სულამანიძე — 3,5 ქ.

ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ თბილისის ბადრაკის ფედერაცია (პრეზიდენტი **მარინე მიქელაძე**, ვიცე-პრეზიდენტი — **დავით კალმახელიძე**) და დედაქალაქის მერიის სპორტის სამსახური (უფროსი — **გიორგი უდუხაინი**).

სურათზე: ტურნირების გამარჯვებულები და პრიზიორები, მწვრთნელებთან და ორგანიზატორებთან ერთად.

ნბა

«ლეიკერსს» ბრაიანტმა მოაგებინა

ნბა-ში მიმდინარეობს რეგულარული ჩემპიონატის ფლეი-ოფის პირველი რაუნდის შეხვედრები. „ეაშინგტონმა" ტუმარად 89-84 დაამარცხა „ქლივლენდი". ამ უკანასკნელს ვერ უშველა ლიდერმა ლებრონ ჯეიმსმა, რომელმაც 26 ქულა მოაგროვა და 9-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან. „ეაშინგტონის" შემადგენლობაში ყველაზე შედეგიანი არენაში იყო 30 ქულით. სერიაში ანგარიში გაითანაბრა 1-1.

ასევე გაათანაბრა ანგარიში სერიაში (1-1) „ნიუ-ჯერსიმ" „ინდიანასთან". მეორე თამაში „ნიუ-ჯერსის" კალათბურთელთა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა და მათივე გამარჯვებით დასრულდა — 90:75. მოედანზე ბრწყინავდა კარტერი, რომელმაც „ნიუ-ჯერსის" 33 ქულა შეიძინა.

მეტად დაძაბული გამოდგა „სან-ანტონიოს" და „საკრამენტოს" მეორე შეხვედრა. დამატებით დროში „სან-ანტონიოს" კალათბურთელებმა იმარჯვეს — 128:119. გამარჯვებულთა რიგებში ყველაზე მეტი — 32 ქულა დააგროვა ჟინობილმა. გარდა ამისა, მან 9 შედეგიანი გადაცემა შეასრულა. ამ გუნდების დაპირისპირებაში ანგარიში 2-0-ია „სან-ანტონიოს" სასარგებლოდ.

გუშინ „დეტროიტმა" მეორე მატჩიც მოუგო „მილუოკს", რაშიც დიდი წვლილი მიეძღვით პრინსს, ბოლასსა და ჰ ემილტონს, რომლებმაც შესაბამისად 22, 20 და 18 ქულა დააგროვეს.

ორი მატჩის შემდეგ „დალასი" სერიაში 2-0 უგებს „მემფისს." მეორე შეხვედრის ანგარიშია 94:76. „დალასის" შემადგენლობაში საუკეთესო იყო დირკ ნოვიცკი, რომლის ანგარიშზეც 31 ქულა.

დაბაბულად და საინტერესოდ მიმდინარეობს პირული რაუნდის შეხვედრები „ფინიქსსა" და „ლეიკერსს" შორის, სერიაში ანგარიში ჯერჯერობით საკმაოდ ახლოა – 1-1. მეორე შეხვედრაში „ლეიკერსმა" იმარჯვა 99:93. ეს კიდი ბრაიანტის დამსახურებაა, რომელმაც 29 ქულა დააგროვა და 10-ჯერ მოხსნა ბურთი ფარიდან.



„ფერარიში" სჯერათ – იმოლაში გაემარჯვება ახალი ეპოქის დასაწყისია

ცნობილია, რომ „ფორმულა 1"-ის ტბაპი – სან-მარინოს გრან პრი მსოფლიოს შვიდზეხა ჩემპიონმა, „ფერარის" პილოტმა მიხაელ შუმახერმა მოიგო. თვით მიხაელს და „ფერარის" ხელმძღვანელობას სჯერათ, რომ ეს გამარჯვება ახალი ეპოქის დასაწყისია.

მსოფლიოს გახსული წლის ჩემპიონის ფერნანდო ალონსოს („რენო") აზრით, მიხაელ შუმახერი წლევანდელ სეზონში მისი მთავარი კონკურენტია.

აქვე იმასაც შევახსენებთ, რომ იმოლას ავტოდრომზე მიხაელ შუმახერმა დაამხო ლეგენდარული პილოტის აირტონ სენას რეკორდი – სან-მარინოს გრან პრის მოგებით, ტურნელმა რეკიმ 66-ე ტბტული მოიპოვა.

კლიჩკოს პიგერთან შეხვედრა ელის

მას შემდეგ, რაც უკრაინელმა პროფესიონალმა მოკრივემ ვლადიმერ კლიჩკომ გასულ უქმეებზე დაამარცხა კრის ბირდი და იბუ-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი გახდა, უკვე დაწერ საბარი მის მომავალ მეტოქეზე.

სამშაბათს ნიგერიელი მოკრივის სამეულ პიტერის პრომოუტერმა განაცხადა, რომ იგი ულდიმირ კლიჩკოს მატჩ-რევანშის ჩატარებას ურჩევს მის კლიენტთან.

უკრაინელი და ნიგერიელი გასული წლის 24 სექტემბერს შეხვდნენ ერთმანეთს და ულადიმირმა ეს ბრძოლა ქნეულით მოიგო.

სამეულ პიტერს წარმომადგენლის თქმით, კლიჩკოსა და ბერდის შეხვედრამ ყველას დაანახვა, რომ სამეულ პიტერი ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში.

კლიჩკომდე პიტერს ერთი ბრძოლა ელის — ამერიკელ ჯულიუს ლონგს 28 აპრილს შეხვდება.

ულადიმერ კლიჩკოს მწვრთნელმა ემანუელ სტიუარდმა თავის მხრივ განაცხადა, რომ მის შეგირდს სურს, გაიერთიანოს ტიტულები, ანუ მსოფლიოს ერთიანი ჩემპიონი გახდეს. ადვილი შესაძლებელია, რომ უკრაინელი მოკრივის მორიგი მეტოქე ეძლეს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონი ჰასიმ რახმანი აღმოჩნდეს.

ჩაუსტვინე, ვიოლეტ!

ნბა-ს ფლეი-ოფის პირველი რაუნდის მატჩებიდან აღსანიშნავი რამ მოხდა „ნიუ-ჯერსი" – „ინდიანას" შეხვედრაში. პირველად ისტორიაში, იმარჯვა სუსტი სქესის წარმომადგენელმა – 41 წლის ვიოლეტ პალმერმა.

მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები

28 აპრილი, პარასკევი

საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებრივი არხი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. უკრაინის ჩემპიონატი მოსკოვში (19.00). HTB плюс спорт. „პარმენის ფორმულა" (10.25), ჰოკეი. ტტენის თასის გათამაშება. (11.30) ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. უკრაინის ჩემპიონატი მოსკოვში (14.00), კალათბურთი. ნბა-ს მატჩების მიმოხილვა (15.30), საჭადრაკო მიმოხილვა (16.30), ფრენბურთი. გადაცემა „ექსპ-ექსპ" (17.00), ტანლანდური კრივი (17.35), ჰოკეი. სტენლის თასის გათამაშება (18.45), „ნოკაუტი" (21.30), „ბურთი და ფარი" (22.00), „სპორტული გლობუსი" (1.35), ფიგურული სრიალი (2.05), ბილიარდი (3.30), EUROSPORT. ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (10.30, 12.00, 21.00), სნუკერი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩემპიონის ტიტულისათვის. ასტონ ფერიტალი – ჯაჰრ რაჰმანი (5.00), თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი (8.00), EUROSPORT. რაღა. მსოფლიო ჩემპიონატი არგენტინაში (10.30, 17.00) ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი (20.30), ეკსტრემალური სპორტი (1.30).



29 აპრილი, შაბათი

საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებრივი არხი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი მოსკოვში (18.20), ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა. „ჩელსი" – „მანჩესტერ იუნაიტედი" (15.30), HTB плюс спорт. კალათბურთი. ნბა-ს ჩემპიონატი (10.30), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი მოსკოვში (13.15), საჭადრაკო მიმოხილვა (15.45), სპორტული ცქერები. „დინამოს" დიდი პრიზი (16.35) ფარიკაობა. მსოფლიოს თასის გათამაშება (18.25), ჰოკეი. სტენლის თასი (23.00), ფარიკაობა (1.30), პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიოს ტიტულისათვის. ჯეილონ ფრეიტასი – ჯაჰრ რაჰმანი (5.00), თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი (8.00), EUROSPORT. რაღა. მსოფლიო ჩემპიონატი არგენტინაში (10.30, 17.00) ფეხბურთი. ევროპის 24 საუკეთესო კლუბი (11.30), უეფას თასის თამაშების მატჩების მიმოხილვა (12.00), სნუკერი (13.00), მოტორბოლეტი. თურქეთის გრან პრი (15.00), მაგიდის ჩოგბურთი. მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი (20.30), ეკსტრემალური სპორტი (1.00), მოტოფრისტაილი. ამერიკა — ევროპა (1.30), ევროსპორტის ახალი ამბები (2.30).

30 აპრილი, კვირა

საქართველოს ტელევიზია. საზოგადოებრივი არხი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი მოსკოვში (16.00), „მზე". ფეხბურთი. ინგლისის პრემიერლიგა. „ტოტენჰემი" — „ბოლტონი" (19.00), HTB плюс спорт. ჰოკეი. სტენლის თასის გათამაშება (10.25), „ნოკაუტი" (12.40), საჭადრაკო მიმოხილვა (13.25), ნჰლ-ის გუნდები: „დეტროიტი" (14.30), ფიგურული ციგურობა (15.00), ფარიკაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (16.25), სპორტული ცქერები. „დინამოს" დიდი პრიზი (19.00), „სპორტული ღლობები" (20.30), პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისათვის. ალენო ფრეიტასი – ჯაჰრ რაჰმანი (21.30), ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი (0.35), თავისუფალი ჭიდაობა (4.30). EUROSPORT. რაღა. მსოფლიო ჩემპიონატი (10.25), ავტომობილსპორტი (11.00), თურქეთის გრან პრი (11.30), სნუკერი (18.45), მაგიდის ჩოგბურთი (21.00) „ევროსპორტის" ახალი ამბები (2.00), კრივი (2.15).

საჭადრაკო უგბილი

ზ. ფანჯაკიძე („64" 1986 წ.)



a b c d e f g h

თეთრები იწყებენ

№30-ში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა: 1. ... d4
2. ᵬgf4 dc 3. ᵬgc3 b4+ 4. ᵬg:b4 g:f4 5. ღd3 cd 6. ᵬga3

ვინა ვინ არის ჯვრისწერის პასუხები

თარაზულად: 1. „სპარტაკი", 5. ბანაკოვი, 8. შენგელია, 10. ფილიპე, 12. ურო, 13. აჭიმი, 14. გონგი, 16. ბარტენი, 17. ფრე, 18. „ბალორკა", 21. ბორაი, 22. ბაყრიანი, 23. ღუკო, 24. კორტი, 25. ონილი.

შვეულად: 2. აფრანსო, 3. ტუშე, 4. კანი, 5. „ბილბაო", 6. კიო, 7. კაფუ, 9. „არმანი", 11. „მილანი", 14. გორგოძე, 15. კლაკო, 16. ბატუტი, 18. მაია, 19. „რეალი", 20. „ანჟი".

ჯვრისწერა



თარაზულად: 1. ბოლანოს სფეზე კლუბი შემაღლების, 3. ცნობილი სფეზე. მწვრთნელი, მუშაობდა ჩილეს ნაკრებში, 8. პროფესიონალი მოკრივე, 9. საფრანგეთის სფეზე. კლუბი, 10. ფუტსალი და ნივთების გათამაშება, 11. ბუღალტრის ფუტსალ ერთეული, 12. ცნობილი ვეტერანი ქართველი კალათბურთელი, 14. ქართველი ვეტერანი ძიუდოისტი ლერი... 15. ბრაზილიის სფეზე. ნაკრების ლეგენდარული მწვრთნელი, 19. ცნობილი ქართველი სპორტული ფოტორეპორტიორი, 23. წარსულში ცნობილი მოჭადრაკის ფლორის სახელი, 24. ესპანელის სფეზე. კლუბი, 25. მძლეოსნობაში სიგრძეზე ხტომის სექტორი, 26. საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის სახელი, 28. პოლონელის სფეზე. კლუბი, 29. მთა ბინილოსთან ახლოს, 30. საქართველოს სფეზ. კლუბი.

შვეულად: 1. ბილიარდის ტერმინი, 2. ცნობილი არგენტინელი ვეტერანი ფეხბურთელი, მაგრილის „ისრაელის" ტექნიკური დირექტორი, 4. ვეტერანი ქართველი ვაჟი კალათბურთელი, 5. პარტია ჩოგბურთში, 6. „ინტერის" ბრაზილიელი ფორვარდი, 7. სტადიონი , სარბიელი ჭველქართველად, 8. ცნობილი გერმანელი ფეხბურთელი, 13. სპორტის საწყლონო სახეობა, 16. წარსულში ერეწინის „არარატის" ცნობილი ფეხბურთელი, 17. ფიტნესის დასახელება, 18. ადგილი, სადაც ჩაისახა ოლიმპიური თამაშები, 20. წარსულში ცნობილი რიგელი მოჭადრაკე, დიდოსტატი, 21. ქსპანეთის სფეზ. კლუბი, 22. ქართველი ცხენოსნური თამაშობა, 26. სპორტში შეღებვების დამფიქსირებელი ერთეული განზომილება.

პროსპორდი

მთავარი რედაქტორი თენგიზ გახეხილაძე

თარიღი

დაიბადნენ

28 აპრილი

ვიქტორ ბანიკოვი (1938) — საბჭოთა ფეხბურთელი, წარსულში კიევის „დინამოს" გოლკიპერი, საბჭოთა ეკიპირის ჩემპიონატებში „შპრალი სერიის" რეკორდსმენი.

ვალტერ ძენგა (1960) — იტალიელი გოლკიპერი, მსოფლიოს სავიცემპიონო მეკარე 1989 და 1990 წლებში.

ოლეგ სალიუსარევი (1969) — რუსი ცელოსნობალიო, სამჭიდის ევროპის ჩემპიონი, მსოფლიო რეკორდსმენი. 2000 წლის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი.

დიეგო სიმეონე (1970) — ცნობილი არგენტინელი ფეხბურთელი, ნაბეჭდილი.

პაულეკა (1973) — პორტუგალიელი ფეხბურთელი.

29 აპრილი

კურტის ჯონეფი (1967) — ცანდელი მოცეკვეი.

მარკო რეჭერი (1972) — ვერძანელი ფეხბურთელი

30 აპრილი

ლორენცო ბერალენსი (1964) — ბელგიელი ფეხბურთელი, „ანდერლეხტის" მეკვეთი.

ოუ მი ჯინი (1983) — კორეელი სპორტსმენი 2000 წლის ოლიმპიური ჩემპიონი სასტენდო სროლაში.

1 მაისი

გრეტა ანდერსონი (1927) — ცნობილი მოცეკვეი ქალი, ოლიმპიური ჩემპიონი.

ვალენტინ ბუთატეფი (1946) — რუსი ტანმოვარჯიშე, ოლიმპიური ჩემპიონი.

მარინა სტეპანოვა (1950) — რუსი მძლეოსანი, მსოფლიოს ეჭვ-ეულობლენი 400 მეტრზე ბარიერების დაძლევაში.

ვასილი სიდორენკო (1961) — რუსი მძლეოსანი, ევროპის ჩემპიონი. ფოტო სტურირება.

ოლივერ ბირსოფი (1968) — გერმანელი ფეხბურთელი.

ლი ნა (1984) — ჩინელი წყალმხტომელი ქალი, 2000 წლის ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონი.

თბილისი, 380008, ჭ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 98-23-94, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX. ელექტრონული ფოსტა: lelosport2005@yahoo.com